საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1094/01
10/02/2021

1094-01-2-202102101145

**შპს „ანდეზიტს“**
**მის:** საქართველო, ლაგოდეხის რაიონი, სოფ.გიორგეთი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 21 იანვრის N513 განცხადება, რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. გიორგეთში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საამქროს წარმადობაა 100 მ$^3$/სთ. ასევე, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტექნოლოგიური ციკლის მიხედით, 1 მ$^3$ ნედლეულის დამუშავებისათვის საჭიროა 1.5 მ$^3$ წყალი, რაც 260 დღის განმავლობაში, 8-საათიანი სამუშაო გრაფიკით ექსპლუატაციის შემთხვევაში 93 600 მ$^3$ წყალს შეადგენს. მონაცემების გადაანგარიშებით დგინდება, რომ წარმოდგენილი გრაფიკით მუშაობის შემთხვევაში, საწარმოში საჭირო იქნება 312 000 მ$^3$ წყალი. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას.
- ვინაიდან სკრინინგის განცხადებაში არასწორად არის წარმოდგენილი საწარმოო პროცესში გამოყენებული წყლის მოცულობა, დაზუსტებას საჭიროებს აგრეთვე საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მონაცემები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოს წარმადობაა 100 მ$^3$/სთ და 208 000 ტ/წელიწადში. წარმოდგენილი მონაცემები საჭიროებს კორექტირებას და შესაბამისობაში მოყვანას.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფუნქციონირებს შპს „ანდეზიტის“ კუთვნილი, 30 მ$^3$/სთ წარმადობის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საამქრო. დაზუსტებას საჭიროებს რომელი წლიდან ფუნქციონირებს აღნიშნული საამქრო.
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ჩამდინარე წყლების სალექარიდან ამოღებული ლამის განთავსების ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი კოორდინატებით;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაგეგმილი საწარმოს გავლენის ზონაში მოქმედი სხვა, მსგასი პროფილის საწარმოებისა და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე